3 აგვისტო, 1908 წ. ფასი ყველგან 10 კ.

იუმორისტ. ჟურნალი

† ვასილ მოსეს ძე პეტრიაშვილი.

ამ დღეებში ტელეგრაფმა ფრიად სამწუხარო ამბავი მოგვიტანა. 27 ივლისს ქ. კარლსბადში ფილტვების ანთებისაგან გარდაიცვალა ადესის უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორი ვასილ მოსეს ძე პეტრიაშვილი. განსვენებული ვასილ მოსეს ძე დაიბადა 1845 წ. თფილისის მაზრის სოფ. კუმისში. 70-60 წლებში მან დაასრულა თფილისის სასულიერო სემინარია და უმაღლესი სწავლის მიღებათ გაემგზავრა რუსეთს. იქ მან 1870 წ. ჩინებულათ დაასრულა საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი ადესის უნივერსიტეტში და მეცნიერების უფრო საფუძვლიანათ შესასწავლათ საზღვარ-გარეთ გაემგზავრა. ევროპაში მან ჩინებულათ შეისწავლა ქიმია საუკეთესო პროფესორთაგან და 1874 წელს დაბრუნდა ისევ ადესაში, სადაც დაიცვა დისერტაცია და ქიმიის მაგისტრის ხარისხი მიიღო. 1877 წელს მან დოქტორის ხარისხიც მიიღო და ამ დროდან დაიწყო ლექციების სისტემატიური კითხვა. მისი სპეციალური საგანი იყო ქიმია და ტექნოლოგია და ზედმიწევნითაც იცოდა ის. განსვენებულმა დიდი სახელი გაითქვა თავისი სინიდისიერი კვლევა-ძიებით. მისი სამეცნიერო წერილები მრავლათაა გაბნეული ჟურნალ-გაზეთებში. მის თხზულებებში უფრო შესანიშნავია მერძეობისა, მეღვინეობის და მევენახეობის შესახებ. ზოგიერთი მისი თხზულება ბევრ უცხო ენებზედაცაა ნათარგმნი.

სახელოვანი იყო ვასილ მოსეს ძე როგორც მეცნიერი, აგრეთვე სახელოვანი იყო ის, როგორც მოქალაქე. დაიწყო თუ არა განმათავისუფლებელი მოძრაობა, 60 წლის მოხუცი, ვასილ მოსეს ძე, ჭაბუკური აფრთოვანებით შეება პოლიტიკაში. 1906 წ. პროფესორთა პროგრესიულმა ნაწილმა ამომრჩევლათ აირჩია ის. 1908 წელს კი ის ადესის უნივერსიტეტის რექტორათ დანიშნეს. მემარჯვენენი მას წინეთაც ალმაცერათ უყურებდენ და ამ უკანასკნელმა დანიშვნამ „ჭეშმარიტ რუსთა კავშირი“ მთლათ გააბრაზა. მან სასტიკი იერიში მიიტანა ვ. მ. პეტრიაშვილის წინააღმდეგ და შავბნელ რეაქციის წყალობით დაამარცხა კიდეც. ის გადააყენეს რექტორობიდან. მიუხედავათ ამისა მას ოდნავაც არ მოუხრია ქედი და ბოლომდე შეურიგებელ ოპოზიციონერათ დარჩა.

მუდმივ შრომისაგან დაქანცულ-დაავადებული ვასილ მოსეს ძე საქიმოთ კარლსბადს გაემგზავრა. მისი მოწაფენი და ნაცნობნი სიხარულით მოელოდენ ჯან-ღონე მოკრეფილ ძვირფას მასწავლებლის დაბრუნებას, მაგრამ ამაოთ, 28 ივლისს დეპეშამ თავზარ დამცემი ამბავი გვამცნო: პროფესორი პეტრიაშვილი გადაიცვალაო.

მუხლი მოიდრიკეთ კაცური კაცის ცხედრის წინ!

სპარსეთი

ოსმალეთის ამბებმა მკითხველი საზოგადოების ყურადღება სპარსეთს ჩამოაშორა და ამ ჟამათ სპარსეთის შესახებ წერა ვერაფერი ხელსაყრელია. მიუხედავათ ამისა მე მაინც ხელში კალამს ვიღებ და ვეცდები ქართველი საზოგადოება დაახლოებით მაინც გავაცნო, თუ რას წარმოადგენდა სპარსეთი კონსტიტუციამდე და რამდენათ წინ წავიდა ის ამ ორი წლის მეჯლისის არსებობის შემდეგ.

—

სპარსეთის მცხოვრებნი შესდგებიან ოთხი წოდებისაგან, ან კლასისაგან: გლეხების, ვაჭრების (სხვილი და წვრილი), სასულიერო და ხანებისაგან. სპარსელ გლეხს მიწა არა აქვს. მთელი მიწა შეადგენს საკუთრებას შაჰისას, პრინცებისას, წარჩინებულ პირთა, შეძლებულ სასულიერო პირთა და რამდენიმე ვაჭრებისას. მიწის მფლობელთავე საკუთრებას შეადგენენ გლეხები, რომელნიც მათს მიწაზე ცხოვრობენ და ამუშავებენ მას. ამ მხრით სპარსეთი დღეს შუა საუკუნოების ფეოდალურ ხანას შავბნელ ეპოქას წარმოადგენს. პრივილეგიურ კლასთა და გლეხთა შორის დამოკიდებულება იმდენათ საძაგელია, რომ გულდამშვიდებით მისი აღწერაც შეუძლებელია. მებატონეს შეუძლია გლეხს შეურაცყოფა მიაყენოს, სცემოს, წაართვას მას ქონება, მოჰკლას, გადაასახლოს, ჩაალპოს თავის **საკუთარ** საპყრობილეში, ოჯახი გაუუპატიუროს და ყოველივე ეს ხახვივით შერჩება, რადგანაც სპარსეთში ეს მებატონის **უფლებაა**. გლეხს არავითარი უფლება არა აქვს· მთელ თავის ცხოვრებას ის მონობაში და თავის ბატონების გამოსაკვებათ მონურ შრომაში ატარებს. სწორეთ ესაა მიზეზი, რომ სპარსეთში, ბუნებით მდიდარსა და ნაყოფიერ ქვეყანაში ხალხი მთლათ გაღატაკებულია და ნახევრათ მშიერი.

სპარსეთში არ მოიპოვება არც ერთი სკოლა, რომელსაც მთავრობა თავის ხარჯით ინახავდეს. სპარსეთის მთავრობა სახალხო განათლებაზე არც ერთ კაპეიკს არა ხარჯავს, თუმცა ამისათვის სახალხო განათლების უწყებაც არსებობს და განათლების მინისტრიც. განათლების საქმე უმეტეს ნაწილათ უმეცარ მოლების ხელშია, რომელნიც მედრესებში ადამის დროინდელ წესით ასწავლიან, არავითარ ნამდვილ ცოდნას არ აძლევენ თავიანთ მოწაფეეთ, ფულს კი, რასაკვირველია, იღებენ შრომის ფასათ.

სპარსეთში არაა სასამართლოები. მოსამართლეთა მოვალეობას ხანებსა და მართველებს აქვთ დაკისრებული. სპარსეთში არაა დაწერილი კანონები. ქვეყანას თვისნებაზე განაგებენ შაჰი და მისი დამქაშნი. სპარსეთში არაა წესიერათ მოწყობილი ჯარი და ხალხი თავის სამშობლოს მთლიანობის შესახებ მუდამ შიშში იმყოფება. სპარსეთში არაა ხეირიანი გზები, არც ერთი რკინის გზა. იქ არც ქალაქის თვითმართველობაა, არც გაზეთები, ჟურნალები, არც ლიტერატურა (გარდა ძველისა), არაფერია ისეთი, რაც სელს უწყობდეს ნიჭის გამოჩენას ამ ფრიად ნიჭიერ ხალხს. არაა ფაბრიკები, ქარხნები, არც რაიმე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების განსაზღვრული ფორმები,—ერთი სიტყვით არაფერია ისეთი, რასაც ყოველ ხეირიანათ მოწყობილ სახელმწიფოში ნახავთ.

სპარსეთში არაა პური. იმ ქვეყანაში, სადაც ათმილიონიანი გლეხობა მარტოოდენ მეურნეობას მისდევს, ყოველ წელს პურის ნაკლებობას განიცდიან. ეს იმის გამო ხდება, რომ ერთი მუჭა მდიდრები წინდაწინ ყიდულიბენ მთელ მოსავალს თავის მეზობელ მებატონეთაგან და მოსავლის აღების შემდეგ თავიანთ ბეღლებს ავსებენ, მერე ორწილათ და სამწილათაც უფრო ძვირათ ყიდიან მას. ამ პურს ყიდულობენ მეფურნეები, ფქვავენ, შიგ ურევენ სილას, ან სხვა რამ უფრო მძიმეს, აცხობენ ეგრეთ წოდებულ ლავაშებს და იმ ფასათ ყიდიან, როგორც მათ მოესურვებათ, რადგანაც სპარსეთში არც ნიხრია და არც რაიმე განსაზღვრული წონა.

სამაგიეროთ არის უმეცრება, სიღატაკე, ძალმომრეობა, უკანტროლო მოქმედება ერთთა და ყურმოჭრილი მორჩილება მეორეთა, არის **ორმოცდა ჩვიდმეტი** მინისტრი და არც ერთი ხეირიანი სამინისტრო, არის უსინიდისო მართველთა მიერ ქვეყნის დარბევა, მოხელეთა მექრთამეობა, ხალხის უუფლებობა,—ერთი სიტყვით არის ყოველივე ის, რასაც ვერა ნახავთ ვერც ერთ რიგიან ქვეყანაში. ამ მდგომარეობაში მეოფმა ხალხმა მოსთხოვა მთავრობას პური, მისმა ხელმძღვანელებმა ეს მოთხოვნა გამოხატეს კონსტიტუციის მოთხოვნით, რაც ყოველივე წინააღდეგობის გარეშე უწყალობა უკვე ცალი ფეხით სამარეში მეოფმა შაჰმა მუზაფერ-ედინმა.

ჰუსეინ.

* * *

ვ უ ძ ღ ვ ნ ი ტ უ — ს.

სამოთხის ბაღით გამოპარული
მთა-გორათ შორის ის დ.სრიალებს,
უმღერს ძილის-პირს სალსა კლდეებსა
ყინვა-ქარისგან განატ'იალებს!
მწუხრის ბინდ-ბუნდზე, როს მოალერსე
ტკბილი ბორიო ეკვრის მიწასა,
როს მზის კანდელი თანდათან წყდება
პირმოწმენდილსა, გულწარმტაც ცასა, —
ის გარიჟრაჟზე მღერის უდრკელათ,
ქარი იტაცებს ღვიიურ ჰანგებსა,
უნდა ხევ-ხუვმა აღარ ისმინოს,
უმალავს იმათ დილის ამბებსა!
ქარი ბობოქრობს... მთა-გორათ შორის
ვერხვნი-მუხანი იხ'ოშებიან,
თვალს აყოლებენ უკანასკნელ სხივთ,
მწუხრის შავებში იმოსებიან!
ის კვლავ უდრკელათ მღერის დილაზე,
საფლავით იწვევს სხივსა დაკარგულს
და ტკბილს ბანს ასმენს კაეშნიანსა
შორს მ'ოაკრაკე ცელქსა ნაკადულს.
და ორივენი მღერიან მწყობრათ —
„ბოროტმა მტერმა ნუ გაიხაროს:
მხ'ილოდ დროებით ჩაჰქრა კანდელი,
ის კვლავ აენთვის ტურფა სამყაროს...“
ქარი ბობოქრობს მთა-გორათ შორის
ვერხვნი, მუხანი იხოშებიან,
თვალს აყოლებენ უკანასკნელ სხივთ,
მწუხრის შავებში იმოსებიან...

იასამანი.



მ თ ვ ა რ ე ს.

მთვარეკ, ეგლები ცისა კამარას,
ქვეყანას ფერქვეკ მარგალიტ სხივებს!
მ'ოთხარ, დამიცხრობ გულის იარას
წუდიადით მოტულს და განცვიფებს?!
ამ მოდუნებულ მაჯისა ცემას
ძალგიძს შეჭმატო ძალი და დონე?
მაშ დაეტ რისხვა ჩემს ძნიად კდემას!
მ'ოთხარ იმედის ხმა, გამაგონე!
შორით ჭიატი, შენი სიბნდრე
ნბა, რათ მინდა? რას გამიკეთებს?
მომიახლოკდი უფრო, იკ'ნდრე
და გაეტანი ცხოვრების წესებს!
ნახე ბორკილი ჩემგან ნაჭედი
ჩემსავ ხელფეხსა როგორ ამძიმებს!
როგორ დამტანის მეხთადი ბედი
და სინამდვილეტ ვით მისამძიმრებს?
განა, არ სწვდება შენამდის კვნესა
და გულის წერომა დაჩაგრულების,
რომელთა შორის თვით ამ დამესა
ტკბილ მოსვენება არ ეგულების?
განა, არ იცი, რომ ამ ცხოვრებას
ბნელი ზეწარი შემოხვევია
და კაცთა შორის შაკ ბოროტებას
გესლი და შხამი ჩაუნთხევია?
ვხედავ, შორიდან რომ მაფრქვევ სხივებს,
ცისა არეში ამაკთ სტურავ,
აქ კი ვერ მათბობ გულ განცვიფებს,
და გარეშემო ბნელს ვერა სწურავ!
მე აქ მივმართავ ისევ ტანჯულ ძმებს;
მათთან დავდგები ცხ'ოვრების ველზე,
ბირქვე დავამხობ სვავ-სვავ-ჯალათებს,
შევმუსრავთ ბორკილთ ფეხზე და ხელზე!
რაკ ვეღირსებით ამ გამარჯვებას,
კვლავ გაბრწყინდება უშენო ზეცა,
თვალნი იხილვენ ცისკრის შვენებას
და მოგვაშუქებს ნათელი მზეცა!
მაშ, ნუ ეგლები მაგ ცის კამარას,
ნუ მაფრქვევ, მთვარეკ, მარგალიტ სხივებს!
შენ ვერ დამიცხრობ აშლილ იარას
სევდა-კაეშნით გულ-განცვიფებს!..

ნ. ზომლეთელი.

* * *

დამის წუდიადი სწურავდა არეს,
თითქოს ქვეყანა ეშაგსამარა,
გზა ვერ ეტეხათ ვარსკვლავებს, მთვარეს,
ღრუბელს კაეკრა ცისა კამარა.
უცებ ინათლა! ცამ გადიწმინდა,
მზემ მოელვარემ გაითამაშა,
ზვიადმა ბნელმა ხმა ჩაიგმინდა,
ქვეყანად სიმართლემ დასძახა: „ვაშა„!
ზეიმს მიეცა მთელი ბუნება,
სიშავ-ბნელეზე რომ გაიმარჯვა!
შენ კი, ჩაგრულო, როდის იქნება,
რომ გადიცალო თავიდან ტანჯვა?!

ნ. ზომლეთელი.

მოხსენება ბათუმელი ეშმაკის კვინწარისა.

თქვენო მადალ უეშმაკეულესობავ!

გთხოვთ გულდასმით მოისმინოთ მოხსენება ესე, ვინაიდან იგი შეეხება ჩვენსა საყვარელსა საგანსა, ერთ-ერთ წარმომადგენელს მეშვიდე სახელმწიფოსას, ე. ი. პრესასა, მარა პრესასა ჩემს რაიონში მომქმედსა. მე მოგახსენებთ „ბატუმსკი გოლოსზე“.

გაზეთი ესე გამოდის, რიგორც ამტკიცებს სახელწოდება მისი, ქალაქსა ბათუმში რუსულსა ენაზე. წინაპარნი ვაზეთისა ამისა წაიფედერალისტებდენ და ერთ-ერთი მათგანი ჟამსა „ვიბორჩიკებისა“ არჩევისასა იწვევდა ამრჩეველთა მისასვლელათ რედაქციასა შინა, რათა ხელმძღვანელთა გაზეთისასა საიდუმლოთა ერქვათ ყურში ამრჩეველთათვის, თუ ვინ უნდა აერჩიათ მათ. ასეთსა ჩუმათ ფურჩულობასა გაზეთი იგი ხსნიდა შიშითა, რათა ადმინისტრაციასა არ დაესაჯა რედაქცია. არავინ უწყის—ისმინეს თუ არა მოწოდება ესე ამომრჩევლებმა და მიიქცენ თუ არა რედაქციად წაფურჩულების მისაღებათა, ხოლო არჩევნებისა შედეგმა ცხადყო, რომ კანდიდატნი გაზეთის ამისა—დაშნაკცუტუნნი ფედერალისტნი—იქმნენ გახუხულ, ვითარცა ფრინველი უშავესი, წოდებული ყორანათ.

მოადგილე გაზეთისა ამისა „ბატუმსკი გოლოს“ წარემართა უფრორე პროგრესიულსა გზისაკენ და დღეს მასში იხილავთ ფრიად საყურადღებო გრძელ-გრძელ სტატიებსა, რომელნიც შეეხებიან ამ ჟამად აქა მომქმედ ხარინის ცირკის მოჰიდავეთა, ანუ ჩემპიონთა. დიახ, იხილავთ გაზეთსა ამაში ანგარიშსა ჰიდაობისასა და როგორც კარგად მოხსენდება თქვენს მაღალ უეშმაკეულესობას, ჰიდაობა ხომ ყოველთა მოვლენათა შორის ფრიად ღირს აღსანიშნავი მოვლენაა.

— ჩემპიონმა ამა და ამან ჰკრა მოგვერდი, — სწერს გაზეთი ესე, —ამა და ამ ჩემპიონსა, წამოაგორა ის მრავალ მაყურებელთა წინაშე, მარა ვერ მოუხერხა გადმობრუნება და უამისოთა ხომ თანახმად ევროპიულის ჰიდაობის კანონისა, ძლეულათ არ ითვლება პირქვე მდებარე ჩამპიონი. მაყურებლებმა დაჰკრეს ტაში, მარა ტაში იგი ღრმა რწმენითა ჩვენითა უნდა ჩაითვალოს შეცდომად, ვინაიდან ჩემპიონი იწვა მუცელსა და არა ზურგსა ზედა. დაბოლოს, ჩემპიონმა ამა და ამან მოხერხებულისა მოგვერდისა კვრითა გაშხლართა ჩემპიონი ესა და ეს ზურგზედა. იქუხა ტაშმა მაყურებლებისამა და იქმნა მრავალგზის გამოწვეული ჩემპიონი მძლეველი.

ასეთსა ფრიად საყურადღებო ამბავსა ჩემპიონთა მიერ მოგვერდისა კვრისა შესახებ ბეჭდავს თავისსა ფურცლებზე „ბატუმსკი გოლოსი“, რისთვისაც რედაქციასა ამა გაზეთისასა დიდისა მოწიწებითა ჩვენცა ვკრათ მათრახის კუდი ჩვენი.

სხვა ფრიად საყურადღებო მოვლენათა შესახებაც სწერს გაზეთი ესე. მაგალითად, ხშირად ბეჭდავს სხვა და სხვა წვეულებათა ანგარიშსა. წვეულებებსა იმას, როგორც იუწყება თვით გაზეთი, ესწრება წარმომადგენელი მისი, რომელიც მქუხარე რეჩითა მიმართავს მაღალ ადმინისტრატიულ პირსა და ეტყვის: ჩვენ გვიბოძეს თავისუფლება და ვერ მოვიხმარეთ ის თავისუფლება. გვასწავე ჩვენ: რაა თავისუფლება და როგორ უნდა მოვიხმაროთ ის. რომ კარგათ უსწავლებიათ გაზეთისთვის—თუ რაა თავისუფლება და როგორ უნდა მოხმარა მას, ეს მტკიცდება იმა გაზეთის ფურცლებზე დაბეჭდილ ანგარიშებიდან, რომელნიც შეეხებიან ხარინის ცირკსა შინა მოჰიდავეებსა და სხვა და სხვა წვეულებებსა.

აი, ასე კარგია სწავლა ჭკუისა და ასეთისა სწავლისაგან განსწავლულსა ყანყარატოსა აროდეს მოუხდების სიმწუხრითა აღმოქუხება ხმებისა ვაივუისა!..

კვინწარი.

ჩიბათლებს.

(მიბაძვა)

ესემ სთქვა სიზმარი ვნახე,
რაც რომ თავს გარდამხთებოდა,
მიქიაშვილის წყალობა
ვიცოდი, არ შემრჩებოდა.
ძველ მამასახლისს ვუყვარდი
და საქმეც კარგად წყვებოდა,
ჩვენი ნადავლი ქანქარით
მიქიაშვილიც სტკბებოდა.
ქურდებს ვაფარეთ ხელები,
სანამდის გაგვიხთებოდა,
მართლებს ვასმენდით მთავრობას,
აბა რას მიგვიხთებოდა.
უფულო კრამოლნიკები
შიშით ყველოში ძვრებოდა,
თუ ვინმე ქანქაროსანი

ჩვენ ხელში ოვარდებოდა,
იმათი საქმე ყოველი
ჩვენი უფლებით წყდებოდა.
შაბათს რომ ხალხი თავს იყრის
და სუდიებიც ჯდებოდა,
იმათი კუპი შიმშილით
კარგათ ვხედავდით ხმებოდა.
ამ დროს კი მათი მწერალი
მამასახლისთან თვრებოდა.
გვეგონა, ხალხსა შიშ ნაჭამს
მიზღემში ეძინებოდა.
შევიტყვე მამასახლისსა
ეს ყველა უმტკიცდებოდა,
იმას პანღური რომ არტყეს,
შევატყვე, მეც მომხვთებოდა.
აქედგანც არ რა მიმქონდა,
აღარც შინ რამე მხვთებოდა,
წასვლის ხანს ვნახე მაქსიმე,
მგონი მის საქმე წყდებოდა.
ახალ ბოქაულს რაღაცა
შორიდგან ეღრიჭებოდა.
მე უნუგეშოს, უბედურს,
თვალები მემდუღრებოდა.
რას ვცუღლუტობდი საწყალი,
თუ ეს დღე მომესწრებოდა.

—ა.

მოძმეთა სისხლი.

I

წითელი დროშა ლაღათ გაშლილი
ძველის ნანგრევზე შუქმოფინარე
ამცნობდა მთა-ბარს შრომის დიდებას...
მას ყურს უგდებდა მიწა, ცის არე.
სისხლით ნაღები მტარვალთ დასძახდა
მშრომელთა მაჯის დიდებას, ძლევას,
გაქრობას ქვეყნათ ბოროტის ძალის
ქურუმთ სამეფოს მოსპობ-დარღვევას.
გუნდრუკს უკმევდა თავისუფლებას,
თავს დადგომოდა მონობას გამქრალს,
დამსხვრეულ ბორკილს, გახრწნილ ბნელ წარსულს,
უკვე მოსპობილ საკანის ნაპრალს.
მშრომელთა კერა ოფლში ნაწრთობი
საუკუნეთა ნასისხლი შვილი,
მონობის ბორკილ შემომსხვრეული,
ქედ მოუხრელი გმირი ნამდვილი,
დღეს ჰიმნს უმღერდა თავისუფლებას
მისს სისხლში ნაცურს, დღეს ქვეყნის სატრფოს,
მოოქრულ ტახტზე ლაღათ ფეხ მორთხმულს,
რომლის მეფობა მიდამოს ატკბობს...
ლაჟვარდი ზეცა, ვარსკვლავთ სავანე
ძირს ქვეყნის მეჯლისს ჩამოსცინოდა
და ადამის ძის ლხენით ვულ დამტკბარს
სიხარულისგან ცრემლი ცვივოდა...
თავს აპკურებდა უხვად ცვარ-ნამსა
და მთვარის სხივებს შეკრულს კონებათ
ძირს მოაბნევდა გულ გაღეღილი
გადაქცეული გრძნობათ, გონებათ.
ასე ფიქრობდა ტანჯულთ სამეფო,
თითქოს დაშრიტა მწარე სამსალა,
მოსპო მონობა, სძლია ბნელეთი,
ტანჯვის ფიალა სრულათ დასცალა.
მარა ნექტარი უცებ გაშხამდა,
ცამ პირი შეკრა, მიწას დასტირა,
თავისუფლების ტახტი ულმობლათ
ბოროტმა ძალამ ქვესკნელს დასძირა.
წითელი დროშა შავათ აქცია,
გველის სისინათ ჩანგისა ჟღერა,
კვლავ ბორკილები ააჩხარუნა,
კვლავ მტარვალთ ხროვა აასიმღერა.
ისევ საკანი, ისევ ხუნდები,
სულთამხუთავი და სახრჩობელა,
ისევ ატირდა კიდითგან კიდე,
ისევ აცრემლდა დედა, ძმა, ყველა...
თავი წამოყო კვლავ ტარტაროზმა,
გულს გამგმირათ გადიხარხარა,
ტყვიის ზუზუნით, ბოძებზე ბაწრით
თავის აღდგომა ტოლებს ახარა...
თავისუფლების დასატირებლათ
მან მოიწვია ყორანი, ყვავი,
მაშვრალთგან ნადენ სისხლის სასმელათ
გაუმაძღარი მყივანი სვავი.

—

ღიპიანიძეც ამ ძალას აყვა,
დღემდის სოროში ჩუმათ შემძვრალი,
ხვრელიდან თავი მანაც გამოყო
და გადაავლო მიდამოს თვალი...
ნახა, რომ მტერი უკუქცეულა,
დაბრუნებულა ისევ დრო ძველი,
ისევ ბნელეთი, სადაც სიმდიდრეს
უთვალავათ კრებს მაგისი ხელი.
დღიდან ის მუშებს კვლავ დაიმონებს,
უკან წაიღებს რაც გამოსტაცეს
და ისევ ჩვენი ღიპიანიძე
ამ შავბნელ დროში ითავიკაცებს...
მართლაც ასე ქნა... (ან კი ვინ ნახა
მაგისი ჯურის სხვა საქციელი?)
მან ლოკაუტი გამოაცხადა...
ულვაშს გადისვა მსუქანი ხელი...
გაჩაღდა ბრძოლა... აღარ უთმობენ
აღარც მუშები, არც მექარხანე...
ღიპიანიძე მშვიდათ იძახის:
„მე უბედურმა რათ დავახანე
და რისთვის დღემდი ასე არ ვქენი?“
ჩუმათ იცინის ის ულვაშებში...
რა ენაღვლება უკვე დაგზავნა
მან აგენტები დაბა-სოფლებში.
ის მუშებს ელის, კიდეც მოუვა,

რადგან მან იცის დღეს სოფლის ბედი,
იცის რომ გლეხებს დუხჭირ ცხოვრებამ
მოახრევინა მონურათ ქედი...

II

დიდი ხანია სოფლათ მძვინვარეს
ერის მომსპობი ძალა შავ-ბნელი:
შიმშილი, ბრძოლა ლუკმა პურისთვის
მწარე უღელქვეშ სისხლით ცლა ნელი.
თავ ჩაქინდრული მშრომელი მაჯა
ეს არის შთანთქა მონობის ზვირთმა,
გააქროს ლამის ყოველ წამს კვნესამ
არსებობაზე ოცნებამ, ფიქრმა...
გმინავს სოფელი... ვით მაჯლაჯუნა
შავი აჩრდილი თავს დასწოლია
მას მექმაგე, გულშემატკივი
აღარც დღესა ყავს, არც თუ ყოლია...
ქვეყნისა მრჩენელს, ბურჯსა ერისას
გარს შემორტყმია შავი წყვდიადი
„არსაიდან ხმა, არსით ძახილი“
და სიჩუმეა ირგვლივ დიადი...
სად არის წმიდა აზრთ აღტყინება,
კაცის თვისება ფიქრთ-აღმაფრენა?
სად არის გრძნობა კეთილ-შობილი,
სიმართლით მწველი და ბასრი ენა?
სად არის ქვეყნათ ადამიანი,
რა ძალამ მოსპო, დაასამარა?
უუფლებობით წელში მოხრილი
გააცხოველა, პირუტყვს ადარა?
ცხოვრებას კითხეთ, ცხოვრებას ასე—
ის გიპასუხებთ, აგიხსნისთ ყველას!..
ჰკითხეთ ბნელ საკანს, ბორკილთა ჩხარუნს,
ტყვიათა ზუზუნს და სახრჩობელას...
ჰკითხეთ ბნელ ძალას, რომელიც სოფლათ
ღიპიანიძეს მუშებს უგროვებს,..
ასამდე მუშა უკვე შეკრიბა
და კიდევ შეყრის ამდენივე სხვებს...
სოფლიდან სოფლათ ხმები გავარდა:
ქალაქს ხაზეინს მუშა უნდაო,
წავიდეთ, ძმებო, ორ გროშს ვიშოკით,
ეს არის ბედი მოგვიბრუნდაო.
თავსაც გავიტანთ, ცოლ-შვილს დავარჩენთ
და პასუხს გავცემთ მტერ-მოყვარესო,
მღვდელს „დრამას“ მიკცემთ ფოშტას თავისას
შევიმსუბუქებთ ჩვენს ბედს მწარესო.
„ზეკუციასაც“ თავისი უნდა,
ამ ჩვენი დროის პირმშო შვილსაო,
ჩარჩს, მემამულეს და სოფლის წურბლებს,
სულ ყველას ახლა ვინ მოთვლისაო.
ღიპიანიძის აგენტს გამოქნილს
მშვენივრათ მიყავს თავისი „საქმე“:
აღარ დატოვა, სადაც მივიდა,
გაჭირვებული თუ ნახა სადმე...
ყველას პირდება გამუშავებო,
ოღონდ ჩემს სიტყვას დაუჯერეთო,
სხვას არვის ენდოთ, მოგატყუებენ,
ამის პირობაც დამიწერეთო.
თან ფულებს ცინცლავს, რადგან უშოვა
სოფლათ უსაქმოთ სამუშავარი...
თუ კი გააჩნდათ ორიოდ გროში,
ყველა მას შეძღვნეს, ვერ უთხრეს ვარი.
თავს იკატუნებს გამოქექილი
ქვეყნის მარილათ ყველას ესახვის...
აძაგებს „იმათ“, ერთობის „მომგონთ“...
ან კი თქვენაც სთქვით: განა ეძრახვის?
ხალხიც უჯერებს ამ ცრუ მოციქულს,
პირობას აძლევს, რომ მას ეყმობა,
სიახლოვესაც არ წაიკარებს
ვისაც „ერთობის“ რამე ეტყობა.
აი გამზადდა ორასი მუშაც
და ქალაქისკენ გამოეშურა,
ღიპიანიძემ, ამ ამბის გამგემ,
სიხარულისგან ცაში ასცურა:
ქუჩაში გაყრილთ ის ხმასაც არ სცემს,
იმათი ტანჯვა ფეხს არ ჰკიდია...
ერთ დროს ულონო ღიპიანიძე
დღეს უძლეველი, ვინმე დიდია...
შიშველი ძალა მას ზურგს უმაგრებს
და ათვლვინებს მუშათა ბედსა,
ძალა უგნური, უმეტესობის
ინტერესს სწირავს უმაძღარ ერთსა...

III

ამაყათ დადის სახე გაშლილი
გამარჯვებული ღიპიანიძე...
„ხომ გაგიზომეთ, ლაწირაკებო,
თქვენი ძალ-ღონე, განი და სიგრძე!..
ხომ ჩაგიარათ ტყვილა მუქარამ,
დარჩით ქუჩაში გამოგდებული!“
ასე იკვეხის ნიშნის მოგებით
სხვისი ტყავებით ქონდადებული.
რა ქნან მუშებმა, ქუჩაში დარჩენ,
ღიპიანიძემ მიზანს აღწია,
მათივე მოძმის შეუგნებლობით,
მან ლოკაუტით მუშებსა სძლია.
გავიდა ხანი... და უნაყოფოთ
მიდის ყოველი ცდა, მორიგება
შტრეიკბრეხერნი ასე ამბობენ:
„წადით აქედან, აღარ იქნება!
თქვენ მაძღრები ხართ; ამდენი ხანი
გიმუშავნიათ, აწი ჩვენც გვინდა,
ჩვენს ცოლშვილს შია, დიდი ხანია,
არა აქვს მჭადი და წყალი წმინდა!..
თუ თქვენებრ ხალხზე საქმე მივიდა,
ღიპიანიძეც დაიღუპება
და მერმე მუშის მრჩენი, პატრონი
ამბა თქვენვე სთქვით, ვიღა იქნება?
ჩვენც ვჭამთ, მანც ჭამოს, ასე სჯობია,
თქვენ კი კაცს აფსებთ და აღარ ძღებით,
ახია თქვენზე, „ბუნტოვჩიკებო“,
შიმშილით ახლა ქუჩას თუ კვდებით“!
აგრე გამოყავთ ძმის მოღალატეთ
შეუგნებელნი მუშები სოფლის
ღიპიანიძის ერთგულ აგენტებს,
რომელთ რიცხვს ახლა ასე ვინ მოსთვლის!

ისინი გველებრ ახალ მუშებში
დასისინობენ, დანავარდობენ,
თავისუფალ აზრს ძირშივე კვეცენ
მოწინააღმდეგეთ აღარ ინდობენ...
„ძმებო, არ შედრკეთ, აღარ შეფიქრდეთ,
პასუხი მტერსა, იყავით მაგრათ!
ჯერ რაც ვუქენით ისიც იკმარონ
და თუ დაგვჭირდეს კეფაშიც დავკრათ!“..
ასე მოძღვრავენ მუშებს აგენტნი
ფრთხილათ უჭირავთ ყური და ხელი,
სადაც გაუვათ, იარაღათ აქვთ
წაჯამუშება, „დანოსი“ ცხელი.
მდგომარეობა უარესდება:
ქუჩაში გაყრილთ არა აქვთ პური,
ბნელ აჩრდილს მკაცრის შავ სიკვდილისას
იმათში უნდა პოვოს სადგური...
ავათმყოფობა ათასნაირი
ქურდობა, ძარცვა თან-თან ხშირდება,
ისედაც მკაცრი მწარე ცხოვრება
უარესდება, უფრო ჭირდება.
რაკი მშვიდობით ვერა-რას გახდენ,
აღარ გავიდა თათბირი ძმური,
ღიპიანიძის აგენტ-მუშებმა
აღარ ათხოვეს მშიერებს ყური.
მუქარაც გაჩნდა ერთმანეთ შორის:
მაშ ძალამ პოვოს სამართალიო!
რაკი ასეა, არ გესმისთ ჩვენი,
რადგან ხართ ასე ღმერთ-გამწყრალიო,
აწი ჩვენ ვიცით, რით გიპასუხებთ!
ასე იცვალა ძმური თათბირი...
საქმე გამწვავდა და ბნელმა ძალამ
უფრო წამოყო ნამური პირი...
და არც დახანდა... იმ დროს, როდესაც
დაუღალავი მკვირცხლი მზე სხივებს
მარდათ აყრიდა დანამულ მდელოს
და თავს აპნევდა მას ოქროს მძივებს,
დათამაშებდა გაღვიძულ ქალაქს,
ბნელ საბან მომძვრალ არე მარესა,—
ღიპიანიძის ბნელ ქარხანაში
შავმა ძალებმა ხმალი ალესა...
ალესა ბასრათ თავის მოძმისთვის,
რომ მიაბჯინოს ხელ-მარდათ ყელზე...
იცის, ისინი რომ მოვლენ დღესა
და კიდეც გადის ბრძოლისა ველზე...
„აბა, ბიჭებო, მარჯვეთ იყავით,
აღარ გაჯობონ, იმაგრეთ ხელი!“..
აგრე სისინებს ღიპიანიძე
აგენტებითურთ ის საძაგელი...
და დადგა წამი საბედისწეროო,
კიდეც იელვა ჰაერში ხმალმა,
მას ბანი მისცა ტყვიის ზუზუნმა
გადაირბინა კვამლმა და ალმა...
გაჩაღდა ბრძოლა, ბრძოლა სასტიკი,
დადგა მოძმეთა სისხლის მორევი,
სცემენ ერთმანეთს, ხოცავენ ულმობლათ,
ჯერ აღარა სჩანს მხარე მომრეული...
სისხლის რუები... გვამი უსულო...
შვა გაპობილი ტვინ ნასხმი თავი...
აგერ ნაცემი, უღვთოთ ნაგვემი
და აგერ კიდევ სულთა მობრძავი...
ბნელი ძალა კი ქვეშ-ქვეშ იცინის,
მოძმეთა სისხლში ხელ შეღებილი
და, როგორც უწინ, ამ შავ-ბნელ წამშიც
გული შავი აქვს და თეთრი კბილი...
გამარჯვებული ამაყათ დადის,
მან აისრულა თვისი წადილი,
თავისი მტერი ურთ-ერთს წაკიდა...
აწ არ აშინებს წითლის მანდილი...
კვლავ ტახტს დაჯდება პირ-სისხლიანი,
კვლავ იბატონებს მხეცი, მტარვალი,
სანამ არ მოსპობს, გაანადგურებს
მას ხალხის გრგვინვა და ცეცხლის ალი...

ვ. მალაქიაშვილი.



ჭეგათა-ჭეგა.

ღმერთმა იცის არ მინდოდა
სტვირით სოფლათ სიარული,
მარა რავქნა არ მასვენებს
ხულიგანთა სიყვარული.
ჯერ ჯერობით ნიგოითელ
ძმაბიჭებსა ვესტუმრები
ღირსეული „ნაჩალნიკი“
პირველათ გვყავ შესაქები.
რა თვისება უნდა იყოს
მასში ნახო საქებარი,
ერთ ბაგაჟსაც ვერ მიიღებ
თუ არ მიეც მას ქანქარი.
ქათმებს, ან კვერცხს თუ აგზავნი
და ფული არ გადაგრჩება,
ათ ქათამში ორს მას მისცემ
უმადური არ დარჩება.
ჭყინტი ყველიც ისე უყვარს,
რომ კატაც ვერ მიუდგება
ბაგაჟში რომ ხელებს ჩაკრავს
ხშირათ სამი ამოჭყვება.
აგერ „სტარშმა“ მოგვაყურა
ამას არც ეს ჩამორჩება

სურათი სოფლის ცხოვრებიდან.

ყია-მყრალს „დურმიშხანულს“
ქვემძრომობაც ეხერხება.
მუშებს არა ერთხელ უყო
საქმე ცუდი საზიზღარი,
კრამოლნიკებს სუნით ეძებს
როგორც ბაბრის მეძებარი.
ვა, ბატუშკას ვერა ხედავთ
ესეც აგერ მობრძანდება,
ალბათ არის გალეშილი
გვინდა ცოტა დარიდება.
თავის მრევლსაც ისე უყვარს
როგორც გველი მაისისო,
იცის მაგრამ თავის „სამწყსოს“
არ შორდება მაინც ისო.
გინებაც ხომ ისე უყვარს
როგორც ხურმა ღრუტუნასა
მასწავლებლის იმასქნაში
არც ეს დაბერავდა ხმასო.
პიი-პიპუ, ეხლა მწერალს
მარა არა, გადავდვათო,
და ვინც დაგვრჩა სამათრახო
მაგათ შემდეგ გარდავკრათო.

ველდითელი.

თავნაბრუნები

(უძღვნი ნიშადურის პოეტს ვარლამს მისივე კილოზე).

მართლა პოეტი ყოფილხარ
შენი მუზისა ჭირიმე,
წაიკითხი შენი ლექსს
დავსთქვი ბიჭის იმე-იმე,
როგორ მოხვდი მგოსანო, რომ
„ნიშადურშიდ“ გაიჭიმე,
ვაშა მაგვარ რედაქციას
შენც იმე და მასაც იმე.

შხანკოლა.

ბიბლიოგრაფია.

ქართული ქრესტომატია, ანუ კრებული ქართული სიტყვიერების საუკეთესო ნიმუშებისა, შედგენილი მღვდლის მელიტონ კელენჯერიძის მიერ, ტომი I, წიგნი პირველი, Кутаисъ, губернская типографія 1907 წ.

ჩვენ რომ პოეტებით მდიდარი ხალხი ვართ—ამას დიდი მტკიცება არ უნდა. და ჩვენს კრიტიკოსებს რომ ჩვენ პოეტთა ლეგიონში როშელიმე პოეტი გამორჩეთ და მას ჯეროვანი ყურადღება ვერ მიაქციონ, ეს არ არის გასაკვირველი. მარა პოეტიცაა და პოეტიც!.. ფინიებში რომ სპილო ვერ შეამჩნიოთ—ეს არაა მისატევებელი. ასე მოსვლიათ ჩვენს კრიტიკოსებსაც. მათ ვერ შეუმჩნევიათ ჩვენ პოეტთა ბრწყინვალე ცაზე უდიდესი ვარსკვლავი. ეს ვარსკვლავი და სპილო გახლავთ პოეტი ტონკმელი. დიდი ღვაწლი მიუძღვის მღვდელ მელიტონ კელენჯერიძეს ამ პოეტის აღმოჩენაში. მამა მელიტონ რომ არ გვყოლოდა, მაა რომ ქრესტომატია არ შეედგინა და შიგ ტონკმელის ლექსები არ მოეთავსებია, ხომ დაეკარგებოდა მაშინ ქართველ ხალხს უდიდეს პოეტის უდიდესი ნაწარმოებნი!.. პოეტ ტონკმელის ნაწარმოებნი ი!ეთი დიდი ღირსებისა ყოფილან, რომ მამა მელიტონს ეს ნაწარმოებნი თავის ქრესტომატიაში მოუთავსებია, როგორც საუცხოო ნიმუშები პოეტურ ენისა, პოეტურ აღწერისა და პოეტურ სურათებისა!..



სურათი სოფლის ცხოვრებიდან.

ახლავე დარწმუნდება მკითხველი, რომ პოეტ ტონკმელის ლექსები მართლა რომ საუცხოო ნიმუშებია პოეტურ ნაწარმოებთა.

გადავშალოთ მამა მელიტონის ქრესტომატიის 3—18 გვერდი. იქ ვიხილავთ სათაურს: „ნიმუშები პოეტურ ენისა“ და მე-19 გვერდზე წავიკითხავთ ლექსს „მთვარე“, როგორც ნიმუშს პოეტურ ენისას. მოვიყვანთ ჩვენ ამ ლექსის ნიმუშს. აი ეს ნიმუშები პოეტურ ენისა:

ვითა ნაჭერი შავი ნაბდისა
მთებში რაღასაც იგი სტოვებდა
და მთვარის სვლაზედ კალთა ნაბდისა
აქეთ-იქითა ბინას იცვლიდა.

ვინ არ დამერწუნება, რომ ეს კუპლეტი საუცხოო ნიმუშია პოეტურ ენისა!

მე-33 გვერდზე:

ბუზიც ხარობს, ფუტკარიც,
გაზაფხული მოვიდა!
კაცო, შენც აღფრთოვანდი,
გული რათ გაგიცივდა?!...
გაიღვიძე, კაცო, ძილით,
შენთვის ქმნილა ეს დიდება,
შენ მეფე ხარ გვირგვინოსან
და მუხლს გიდრეკს ეს ბუნება!..

ასეთი პოეზიით ვის არ გაუგრილდება... უკაცრავად,—ვის არ გაუხურდება გული?!..

აჰა, ნიმუში პოეტურ სურათისა:

ორ მთას შუა ნაკადული
საამოთ მოჩანჩქარებდა
და მისი ზვირთი მცინარე
მზის სხივებს ეთამაშებოდა.

ისმინეთ კიდევ პოეტური სურათები პოეტ ტონკმელისა:

მაგრამ დახე ჩემს ბედსა?!...
ჯამს შხამი ჩამიყარა
და ძვირფასი გრძნობები
სრულიად მომიწამლა?....
მოკვდა გული, ფიქრებიც
სრულიად გადამერია,
მეც აჩრდილს დამამსგავსა
და მიწას გამირია!..

მერმე და მერმე მშვიდობით კიდევ ისმინეთ:

ადე ბიჭო ზაქარია!
გაიხედე რა დარია!
—ბატონო, არც წვიმს, აღარც თოვს,
კიდევაც კაი დარია.
—შენი ჭირიმე, ზაქარო,
ბიჭო ეგ რა მითხარი, ა?!.,.
აგვხსნია ცივი ბორკილი,
მალე გათბება ძვალია!...

თქვენ რას იტყვით, მკითხველო, ა?!... ხედავთ რა პოეტი გვყოლია, ა? გვყოლია პოეტი ტონკმელი და მისთვის არავის მიუქცევია ყურადღება, გარდა მამა მელიტონისა! სამართალია ეს, ა? ადგილი ნებას არ გვაძლევს, თვარა მამა მელიტონის ქრესტომატიიდან ბლომათ შეგვეძლო მოგვეყვანა ტონკმელის საუცხოო ნიმუშები პოეტურ ენისა, პოეტურ აღწერებისა და სურათებისა, მარა რაც მოვიყვანეთ, ისიც საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ ტონკმელი დიდებული პოეტი ყოფილა. სად იყვენ ჩვენი კრიტიკოსები, რომ ასეთს პოეტს ყურადღება არ მიაქციეს?!. მამა მელიტონს რომ არ გამოეშპუნებია პოეტი ტონკმელი პოეტურ მოედანზე ხომ დაგვეკარგებოდა ერთი პოეტი?! თქვენ თითონ გასაჯეთ: განა ასეთი პოეტური რამ წამოცდენია ჩვენს პოეტებს?

შენი ჭირიმე, ზაქარო,
ბიჭო ეგ რა მითხარ, ა?!..

აი, მარლო ეს ღირს ბაირონის მთელ პოეზიათ, მარტო ეს! ა?.. განა ეს მართლა რომ ნიმუში არაა პოეტურ ენისა?! დიდება პედაგოგიურ ნიჭს მელიტონისა, რომ მან ასეთი პოეტი აღმოგვიჩინა! ვინ უნდა იყოს ეს ტონკმელი? აი, საკითხი, ხალხო ჩვენო, აი, საკითხი! შევეცადოთ, იქნებ ავხსნათ.

მელიტონ—მელი=ტონ
მელიტონ—ტონ=მელი
მელი+ ონ=მელილონ...

ოჰოო!.. ბიჭოს ვინ ყოფილა!.. მარა შუაში „კ“ რაღაა?—ეს გვარის პირველი ასოა.

ტონკმელი—ეს თვით მამა მელიტონი ბრძანებულა.

იკურთხოს მისი მარჯვენა. მერე სად იყო ამ დრომდის ეს მამაცხონებული, თუ ასეთი პოეტი იყო?!. ხომ კარგი უქნია მამა მელიტონს, რომ შეუდგენია თავისი ქრისტომატია? ვინ იცის, იქნებ თავისი ლექსები მამა მელიტონმა ხშირ ხშირათ გზავნა ჩვენს რედაქციებში, რედაქციებმა კი ვერ დააფასეს მამა მელიტონის დიადი ნიჭი და არ დაუბეჭდეს; გულმოსული მელიტონი ადგა და ქრესტომატია გამოსცა, შიგ კი ბლომათ ჩაყარა თავისი ლექსები და დაარქვა ამ ლექსებს: ნიმუშები პოეტურ ნაწარმოებისა, პოეტურ აღწერათა და პოეტურ სურათებისა. ახლაც არ შერცხვებათ ჩვენს რედაქციებს?!.. აწი მაინც ისწავლონ ჭკუა და ტონკმელს უბეჭდონ ლექსები, თვარა კიდევ აჭმევს მათ სირცხვილს ტონკმელი. ადგება და გამოსცემს თავის ქრვსტომატიის I ტომის მეორე წიგნს და გაბერავს იმ წიგნს თავის საუცხოო პოეტურ ნაწარმოებით, მერე მესამე წიგნს გამოსცემს, მერე მე-II ტომის პირველ წიგნს, მერე მესამეს და ასე მეოცე ტომამდის. ერთი სიტყვით, რედაქციებს უდიდეს სირცხვილს აჭმევს. მიიღონ ეს მხედველობაში ჩვენმა რედაქციებმა, თვარა თუ მელიტონს თავის ლექსების გასასაღებლათ სქელტანიანი ქრესტომატიები აბეჭდვინეს, ხომ გააღარიბეს კაცი და აბა, ეს ვისთვისაა სასურველი?!

კენტი.

მესტვირული.

ავიღე გუდა ნაბადი
თან მოკაზმული სტვირია,
ზურგი ვაბრუნე გურიას,
ზევითკენ ვქენი პირია.
ყვირილის სადგურს მივადექ,
გული რაღაცას ფრთხილობდა.
ყური მოვკარი, ვიღაცა
სახედარივით ყვიროდა.
ვიკითხე, მითხრეს, ლოლაძე
აქ პამოშნიკი გახლდაო,
მაგრამ ახლა კი დროებით
სადგურთ უფროსი გახდაო.
ახლა ვახშმათ ზის რაინდი,
ვით ერისთავათ სპილოო,
სჩანს რომ თავ მჩატე ბატონი
ვერ არის საადვილოო.
ხელქვეითები ჩაფახა,
ტკბილს შეაჩვია პირიო,
ყველასა გვიგდებს აბუჩათ
ეგ ხურნაგისა ჭირიო;
თავს არ უჯერებს, იღებავს
ულვაშებსა და წვერსაო,
გვირგვინოსანთან სულ ჩხუბობს,
თაყვანს სცემს მეძავებსაო.
მირჩიეს უკან გავბრუნდე,
გულისა არის ფიცხისო
და მთხოვეს, მაგის წამალი
იქნებ ეშმაკმა იცისო.
ძლიერ შემბრალდა საწყალი,
ვიწყე რეცეპტის წერაო,
ცივ-ცივი ტილო შუბლზედა
დღეში ოც და ათ ჯერაო.
ათ-ათი წვეთი კუდინი,
შხანკოლა გარეულიო,
რბილ ნაწილებზედ მათრახი,
ეშმაკის მოქნეულიო.
რეცეპტს გიგზავნით, მასთან გთხოვ
ეშმაკსა ნაცადიანსა
გამოუგზავნოთ წამლები
ლოლაძეს თავ ქარიანსა.
ახლა კი ჩემი ქამანჩა
ღლიავში ამოვიდეო,
არ ადგეს მეტი ლოლაძე,
აწ აქეთ არ მოვიდეო.

დაუდევარი.

—

ეშმაკო! ფრთები მათხოვე?!
მადლობელი ვარ დიდათა!
კი არ გეგონოს ვიფრინო,
ფარისევლურათ, ფლიდათა!
კაცი, რომ იყოს ამ ქვეყნათ,
სიმართლის გზათ და ხიდათა,
იმას კი ვენაცვალები,
იგი მამყოფებს მშვიდათა!
მინდა, რომ მთელსა თფილისსა,

გარშემო შემოვუარო,
ვისაცა სურდეს მათრახი,
ვაჩუქო, არ ვეუარო!
არავინა თქვას ჩემზედა:
„რომ გვამათრახებს, სტყუა რო?!
კაცია, შეკნებულია,
განა არა აქვს ჭკუა რო?!“
წინ შემხვდა ვიღაც სიმონა,
ჩასხმული ჩასუქებული,
სხვისა მკილავი, მძრახავი,
სხვის ოფლით გამდიდრებული,
„ტრიბუნის ყვავ“ წინაწინ,
აწ მაზე გაჯავრებული,
მას აღარ მოსწონს ერთობის
პარტია დამარცხებული!..
ეს ვიღა არის მაღალი,
გაშავებული სახითა?
რომ ატყუებდა მუშებსა,
თავისებური მახითა,
რომ დასცინოდა საწყლებსა,
მწარე სიტყვებით მკვახითა,
აწ ფრთები ჩამოსცვივნია,
ერთობა „კარდანახი“-თა!..
წინ შემხვდა, (სახელს არ გეტყვით)
კონკისა კონდუქტორია,
წინეთ რომ თავი მოქონდა,
ვითომ და ორატორია!
როცა დამარცხდენ მუშები,
ღრიალებს ვითა ჯორია,
რწმენა და კაცობრიობა,
რომ გითხრათ—მისთვის ჭორია!...
რა თავი მოაქვს ნეტავი
ე, ვიღაც რედაქტორია?
მთლათ ააყროლა ქვეყანა,
თითქო გასვრილი ღორია,
რასაც ამბობენ იმაზე
გარწმუნებთ ყველა სწორია,
მარა რა ვუყოთ? მისთანა
განა ერთი და ორია?!..
მეცრუე კორესპონდენტი,
ვიღაცა ხეობელია,
დაარიგევით, ხალხი ხართ,
დაბნეულია, ბნელია.
მინამ ადრეა უშველეთ,
თორემ მორჩენა ძნელია,
იმა პარტიას აძაგებს,
რომელიც ხალხის მცველია!..
„გრი-გრი“-ისა ვკადრებ ცოტასა,
ნუ უყვარს ფარისეველობა,
მიდგომით წერა გაზეთში,
არ არის კარგი ხელობა;
მარა ეჰ, რა ჰქმნას საწყალმა,
ძნელია უსწავლელობა,
რომ საბოლოო არ არის,
„ნიშადურლების“ მცველობა!..
აწ თავს ვანებებ დანარჩენს,
მრავალსა სამათრახოსა,
ისევ თფილისში დავფრინავ,
და არა საჯავახოსა!
არ იამება ზოგიერთს,
იმან რაც უნდა ჩმახოსა,
მე ხომ ვერაფერს დამაკლებს,
დაჯდეს და ივაგლახოსა!...

შმაგა.



წერილები ეშმაკისადმი

პროვინციებიდან.

სოფ. ბურნათი (გურია).

ძმაო ეშმაკო, წერილს გწერ,
გთხოვ, რომ დამიგდო ყურია,
აქ ბევრი არის ისეთი,
კუდინის წვენი სწყურია.
და გადმოფრინდი საჩქაროთ,
თხოვნაა ჩემგან ძმურია,
იქნებ ამითი განკურნო
ბოროტი—უკმაკურია.
სენაკის ვეზდში ქურდობდა,
აქ შეაწუხა გურია,
იქიდან ნაპაღურევმა
აქაც იძია შურია.
მისი წყალობით წაართვეს
ბაღის მუშებსა ფულია,
ეს არის უკვე ცნობილი
რაჟდენი „დიდებულია“.
გადაჰკარ იმას მათრახი

ორმოც და ათი წყვილია,
სპერმაკუდინის წვეთებით
მას დაუამე სულია.
შემდეგ მონახე ლევანტი,
ქურდებს რომ მოწმედ უდგება,
„პრაშენიას“ სწერს, ხლაფორთობს—
ხანდახან „იქაც“ დაძვრება...
გიორგი მარკოზის შვილი
იქვე გზის პირას დაგხვდება,
კორფილეს გამოუარე,
ხშირათ ცრუ მოწმეთ წადგება,
ასეთი დამნაშაობა
ორივეს ერთათ ბრალდება.
საბუთით დანახულია,
ხალხის ერთგული ბრძანდება,
სუყველას მაგრათ უცხუნე,
მით განიკურნოს იქნება.
კუდინის წვეთიც უბოძე
რა გემოსაა მიხვდება.

—

სამათრახონი სხვებიცაა,
მაგრამ ჯერ არ ვსწერ ყველასა,
ამათი გამათრახებით
იმათზეც ვფიქრობ შველასა.
და თუ არ გასწორდებიან,
შემდეგ მოგითვლი ყველასა.

მორიელი.

—

ყვირილა. შენგან არ მიკვირს ასეთი გულგრილობა ყვირილსადმი?! რათ არ ჩამეინავარდებ ამ ზემო იმერეთის დედა ქალაქში? იქნება ბგონია, სამათრახო აქ არავინ იყოს. გარწმუნებ, შენი მათრახი აქ ერთ წამსაც არ დარჩება უმოქმედოთ... კი, მართალია, კოლამ ცოტა ხნით თავი დაანება „იესაქნობას“, მაგრამ ასეც რომ არ იყოს, თვით ყოვლად შემძლებელ ყუმბარამაც ვერა დააკლო რა და შენი მათრახი ბევრ ვნებას ვერას მოუტანს... ისევ სჯობია დროებით მას თავი დაანებო და ჩვენს მამა დეკანოზს ერთი ორიოდე წვეთი შენი კუდინისა აყლაპო. ამბობენ, ორ მკვდარს ერთ საფლავში ისტუმრებსო და სასაფლაოს ეკლესიაში ხე-ტყის საწყობი მოუწყვიაო. რა ვიცი, ასე ამბობენ, თორემ მე არც საფლავში ვყოფილვარ ჯერ და არც ხე-ტყე დამჭირვებია...

როგორც გავიგე, აქაურ ქალიშვილებს უნდოდათ კოლეკტიური თხოვნა გამოეგზავნათ თქვენი უეშმაკესობისათვის, რომელშიაც ასწერენ თავიანთ უნუგეშო მდგომარეობას. მართლაც და საწყლებს სწორეთ გაუჭირდათ საქმე. ჯერ თვითონაც არ ყოფნიდათ აქაური სტუდენტები და სხვა ქალაქებიდან ეცილებიან მათ. ზაფხულობით შეიქნება ყვირილაში ქალიშვილების ჩამოხიზნვა და შენ ი ვითონ მიხვდები, როგორი ნასიამოვნები იქნებიან ჩვენი ქალები ასეთი შეცილებით. ჰო და, გთხოვდენ შენი მათრახის კუდი იქნებ როგორმე მიაწვდინო ამ დაუპატიჟებელ სტუმრებსო.

სხვათა შორის ამბობენ, ძმაო ეშმაკო, ყვირილელი ვაჭრები ცოტათი შეიმწყარალებენ სინიდისზეო და აღარაფერს ერიდებიან, ოღონდ ქანქარი ბლომათ ჩაიმასქნან ჯიბეშიო. იმასაც ამბობენ, რომ ამ პარკობაზე თითო საქალამნე ტყავი მაინც ააძვრეს საწყალ გლეხებსაო. თუ ეს ასეა, ძმაო ეშმაკო, ნუ დაიზარებ და სილიონს, მელიტონს, დათას და იოსებ მეგრელს აყლაპე თითო კუდინი და, რომ უფრო კარგათ შეერგოთ, ერთი-ორიც უცხუნე გასუქებულ ზურგებზე.

საღამო ჟამს თუ არ დაიზარებ და ხიდისკენ გაისეირნებ, შენს თვალს საამო სურათი წარმოუდგება. მთელი ხიდი ხალხით იქნება სავსე. ახალ-გაზდები წყვილ-წყვილათ სეირნობენ, დედები კი განგებ გაკეთებულ „სკამეინკაზე“ სხედან, თავიანთ ტრედებს შესცქერიან და ჭორიკანობენ. თუ რამეფერათ მოახერხებ და მათრახის წვერით ენებს დაუწითლებ, ძალიან დაგიმადლებენ, რადგან ძალზე ექავებათ, შემდეგ კი აღარ შეგაწუხებ. ხოლო უკან დაბრუნებისას ხიდზე ფრთხილათ გაიარე, თორემ მოსეირნენი საზოგადოთ ძალიან პრეტენზიაში არიან, როდესაც ურემი, ან სხვა რამ მათ თავისუფლათ სეირნობას უშლის.

შენი ბასილიკა.

—

სადგ. ულუხანლუ. რა იქნა, რომ არ მოგეწყინა ქუთაისსა და თფილისის გუბერნიაში სიარული! ერთხელ ამ დალოცვილ ერევნის გუბერნიაშიაც გაინავარდე! მიდი ულუხანლუს სადგურზე და ინახულე „ტრეტი“ კლასის ბუფეტჩიკი გიგო ორდენიძე. ეს ვაჟბატონი დღე ისე არ გავა, რომ სოფლელ თათრებს არა სცემოს. მერე რატომ? იმიტომ რომ სოფლიდან შემოტანილ სანოვაგეს იაფფასათ არ აძლევენ. ბატონ ორდენიძეს გული მოსდის და საწყალ თათრებს, რომლებსაც ზურგზე ორ-ორ სამ-სამი ფუთი ტვირთი კიდია, მუშტებით უმასპინძლდება და უყვირის: „გეთ ოიანა, შე ურჯულოო!“

ამისათვის საჭიროა დაჩქარებით უწყვიტინო შენი მათრახის კუდი, რომ შემდეგში არ ჩაიდინოს ასეთი მხეცური მოქმედება და თათრებსა და ქართველებს შორის არაფერი შუღლი ჩამოაგდოს.

მიხეილა ოფონიესშვილი.

—

სურები. გულით ძმურს სალამს მოგიძღვნი,
გამარჯობა, ეშმაკოჯან!
საწვეთო ამბავს მოგითხრობ,
ყური მათხოვე ძმაო-ჯან.

—

თუმც უეპარი წამალი
ისედაც ბლომათ საღდება,

მაგრამ ნაწილი, სამართლით,
ჩვენს ავათმყოფებს კი ხვდება?!

—

ერთმა ჭაბუკმა ჩვენს უბანს,
(სახელათ "კოზმან" რქმევია)
ენიშკა იშოვნა: გაშალა—
იგრძნო ქანქარი ბევრია.

—

თურმე მეყველებს უბედურს
ჯიბიდან ამოვარდნოდა,
ქუდ მოგლეჯილი საწყალი
მის მოსანახათ დარბოდა.

—

კოზმამ ნაპოვნი ქანქარის
გადაიმასქნა ინება,
სთქვა: ოცდაათი ქანქარი
მე რატომ არ მეპირვება?!

—

—ერთს ძაან ჩავლევ რჯულზედა
პატრონის დუხიც არ იყოს!
მეყველე „ვარით" ისტუმრა,
მოწმე რომ ვინმე არ იყოს.

—

და როცა მოწმე აღმოჩნდა,
რომელსაც მისთვის ემზირა,
კოზმან რომ ქანქარს იღებდა
მას თვალი იქით ეპირა.

—

მაშინ მხელილმა მპოვნელმა
ქანქარი მას ჩააბარა
ვისიც რომ იყო, და თვითონ
ყურები კი ჩამოყარა.

—

კუდინს რომ კი საჭიროებს
ასეთი თვალებ ცანცარა,
„ბეკოს ლაპორტი" არ უნდა
და არც მაქვს ეჭვი არა-რა.

—

გამოჭყევ აქეთ ძამიკო
ორი უნცია კუდინით,
მერწმუნე მოაჭკვიანებს
სჯობს გაიმასქნას „დუბინით"

—

თუ კნუტსაც წამოუძღვარებ,
მიაწიპწიპეფ წვერსაო,
ძალიან კი მოუხდება,
დააწყევლინებ ბედსაო.

—

მოგეცა ლხენა, ეშმაკო,
საწვეთო სხვაიც ბევრია,
მაგრამ იმათზე გიამბობ,
როცა მიდგება ჯერია.

ნიკრიჭი.

—

სადგ. სვირი. დიდი ხანი არ არის, რაც შენ ეშმაკური მოღვაწეობა დაიწყე და ყველგან ინახულე ქალაქ-ბაზრები და მასთან სოფლებიც არა თუ ერთხელ, სამჯერაც კი მოგიხდენია რევიზია შენი კურთხეული მათრახით და შიშისგან დაუძლურებულთათვის სპერმაკუდინიც ბევრისთვის მიგიღებინებია, მიკვირს და მიკვირს, ეშმაკო, ერთხელ მაინც რათ არ მოგიხდა სვირის სადგურზე პატარა ხანს შეჩერებულიყავ და გაგეგო აქაური ავანჩავანი. შეიძლება ფიქრობდე აქ მშვიდობა სუფევსო. გარწმუნებ, რაც ბაქოდან ბათუმამდის უწესობა და გარყვნილება ყოფილა, სუყველა ამ სადგურის უფროსს, ლორთქიფანიძეს, ჩაძრომია მუცელში და ბუდობს მასთან. სად გაგიგონია, ძმაო ეშმაკო, რომ სადგურის უფროსს უდანაშაულო მგზავრისთვის ეცემოს და ცხვირ-პირში სისხლი ედინოს? ჩემი თვალით ვნახე, იმდენი სცემა საწყალს მგზავრს, რომ ცხვირპირიდან სისხლი ადინა. წარმოიდგინე იმდენათ გაჟღენთილია მისი გვამი ყოველი სიგლახით, რომ გულმოსულობის დროს თავის გასათხოვარ ქალებსაც კი იმდენსა სცემს ხალხის წინ, რომ მათი წვივილი ზეცას ადის. დასამოწმებლათ ამა ჩემი სიტყვებისა გთხოვ, ეშმაკო, ერთი დღით ჩამოხვიდე და რევიზია მოახდინო წარსული საქმეებისა და ახალს კი შენი თვალი. თა ნახავ. საჭიროა მათრახი და სპერმაკუდინი. შემდეგ რევიზიისა გადადი იქვე ბაზარში და ბანქოს მოთამაშეებს შეხვდები; ზოგს თამაშობის დროს წაესწრობი და ზოგსაც კი ჯიბეები გაუსინჯე, ბანქოს უნახავ და თითო-ორ-ორი მათრახის კუდი ისე ლონივრათ უცხუნე და უცხუნე, რომ დიდხანს არ მოუშუშდესთ და მაშინ გადაეჩვევიან ბანქოს თამაშს.

ჩიკორტელა.

—

ბაკურიანი. გზის ოსტატმა რაჟდენ ბუაჩიძემ და მისმა თანაშემწემ ირაკლი თავდიშვილმა მეხუთე ნაწილის უფროსს თხოვნა მიართვეს. რადგანაც დღიური მუშები ურჩები არიან და არა მწყესავენ მათს ოთხ ძროხას და არც ცნობენ მათს ძროხებს რკინის გზის მოსამსახურეთ, ზემოხსენებულნი პირნი სთხოვენ უფროსს გამოუგზავნოს მათ ოთხი კაკარდა და ექვსი სირმის ლენტი (გალუნი), ორი კაკარდა ორი გალუნი თავდიშვილის ძროხებისთვის შუბლზე გასაკეთებლათ და ორი კაკარდა და ოთხი გალუნიც გზის ოსტატის ბუაჩიძის ძროხებისთვის. ეგებ კაკარდა-გალუნებმა გავლენა იქონიონ შეუგნებელ მუშებზე. მუშებს კი ურჩობისათვის და პირველ მწყესის გაძევებისთვის მიესაჯათ ვაგონეტ-კით ამოყვანა სამუშაოდან დაბრუნების შემდეგ უფ-

როსი მუშისა (თავდიშვილის) და მის დამქაშთა მთელ ხუთი ვერსზე აღმართში. სადგურის უფროსისა და მის თანამსახურთა ძროხებს ბოიკოტი გამოუცხადეს, რადგანაც თვეში სულზე ორ-ორი მანეთი არ აძლიეს ბუაჩიძისა და თავდიშვილის საიარგებლოთ.

მავნე კუზა.

—

დიდი-ჯიხაიში. ძმაო ეშმაკო! გთხოვთ გამოისეირნოთ საგარაკოთ თქვენი მათრახ-კუდინით ამ ჩვენს ჯიხაიშს. იმედია, გზა არ შეგეშლება. მატარებელში რომ ჩაჯდეთ, კონდუქტორს კითხეთ პლატფორმა „გუბი“ და ის გასწავლის. ჩამოსვლისთანავე ჩვენი მეეტლები შემოგესევიან, არა მე წაგიყვან და არა მეო. ამ უწესრიგობისათვის იძვრე შენი მათრახი და თითო-თითო უჭირე, რომ მეორეთ არ გაბედონ.

ამას შემდეგ გასწევთ პირდაპირ ახალ ქალაქში. იქ ბიბილეიშვილის ფართლის მაღაზიაში შეივლით. შეხვიდე თუ არა, მიაძახე: „Становись!“ და მიაყოლე და მიაყოლე შენი მადლიანი მათრახის წვერი! ეს ის ბიბილეიშვილი გახლავს, რომლის წყალობით და მისთანათა დახმარებით ურიებს მოუსპეს ამ ჩვენს ქალაქში ვაჭრობა და თვითონ გახდენ მონოპოლისტები. ამას ხალხი გვიანობამდის ვერ მიუხვდა და, როცა კი მიხვდენ, ისევ მისცეს ურიებს ვაჭრობის ნება.

ამას შემდეგ შეუხვევ სასოფლო ქსენონში და მიადგებით აფთიაქის კარებს. წამლის სუნის არ შეგეშინოსთ, ქინაქინისა და ქათმის ჭირის წამლის მეტს იქ ვერასა ნახავთ. ყოფილა ისეთი მაგალითი რომ კაცს რეცეპტი მიუტანია და საჭირო წამალი რომ არ აღმოჩენილა, „სტარში“ პროვიზორს უთქვამს, ამ ორ დღეში ქუთაისიდან გამოვიწერო. ავათმყოფის პატრონს რეცეპტი დაუტოვებია და, თანახმათ დაპირებისა, მესამე დღეს მოსულა წამლისათვის. პროვიზორს თვალის ასახვევათ უჯრებში უძებნია და შემდეგ თითქო მოჰგონებიათ უთქვამს: „ჰმ, წამლის საერთო სიაში შეტანა დამვიწყებიაო.“ ამისთვის, ჩემო ეშმაკო, შესვლისთანავე მიაყვირე: „Встать! Смирно!“—და როცა რიგზე დადგებიან, ოთხივეს სათითაოთ უჭირე და უჭირე. განსაკუთრებით უჭირე უფროს პროვიზორს, რადგანაც მას თავისი მოვალეობა დავიწყებია.

გარასახედაველი.

—

ნახალოვკა. ძმაო ეშმაკო, ნუ თუ დაივიწყე ნახალოვკა მას შემდეგ, რაც შენ პოლიციელთა გროვა გვიძღვენი, და იმედები იმათზე დაამყარე, ვითომც ისინი შენს როლს შეასრულებდენ, და ზოგიერთ დამნაშავე ვაჟბატონებს შენი მათრახის კუდინის მაგივრათ მუჯლუგუნით გაისტუმრებდენ.

მე სრულებით არა მჯერა, რომ ეს ასე იყოს. ალბათ, ამ რეაქციის ხანაში, გასაკვირველი არ არის, რომ ბევრი საქმე გექნება. ახლა კი, ძმაო ეშმაკო, თუნდაც რომ აუარებელი საქმეები გქონდეს, იდგე არ დაჯდე, იჯდე ადგქი და სწრაფლ გამოეშურე ნახალოვკისკენ. პირველათ ინახულე აფანასიევის ქუჩაზე სახლის პატრონი და მასთან ღვინით მოვაკრე ვასო, რომელიც იჯდება თავის დახლსა შინა და ერთი ლაზათიანათ მიაყოლე ზურგსა მისსა, რათა ის უმიზეზოთ ითხოვს თავის მდგმურებს, რომ განწმინდოს თავის სახლი არასასურველი ელემენტებისაგან და შიგ თავისიანები დააყენოს.

მემე აუცილებლათ ინახულე იმავე ქუჩაზე სახლის პატრონი ქალი, რომელსაც კაცის „გაიმაისქნა“ *) ერთ ნიორის კბილათაც არ უჯდება, რაიც დამტკიცდა იმით, რომ ამას წინათ ერთი თავისი მდგმური „გაიმასქნა“.

ამ ღღეებში მოწამე ვიყავით კიდევ საშინელი სურათი გვენახა მისგან: სახელდობ ის, რომ სრულებით უმიზეზოთ გაეგდო იატაკზე თავისი 13 წლის მოსწავლე ქალი და უმოწყალოთ სცემდა. როდესაც დავექომაგეთ და გვინდოდა გადაგვერჩინა საბრალო სისხლში ამოსვრილი ბავში, მან ასე გვიპასუხა: „ეს ჩემი შვილია, თქვენ რა უფლება გაქვთ დამიშალოთ ჩემი საკუთარი შვილის ცემაო? ჩემს შვილს მინდა ვცემ, მინდა მოვკლავო“. რაღა თავი მოგაბეზრო, ეშმაკჯან, ესეც საკმარისზე მეტია, რომ დაახასიათო მისი საქმენი საგმირონი და აბა, შენ იცი და შენმა მათრახის კუდმა! არ მოგერიდოს, როგორც „მანდილოსანის“, მოსცხე და მოსცხე, მისი კუდის ჭირიმე, მათრახის კუდი, რაც ძალი და ღონე გაქვს და თან აყლაპე სპერმაკუდინის წვეთები, რაც შეიძლება დიდი ბოთლიკით, თორემ არ იმოქმედებს, რახან ფრიად დიდი კომპლექციის ადამიანი არის და ნერვებიც აშლილი უნდა ქონდეს, რადგანაც ზემო აღნიშნულ მოსწავლე ქალს კაბები დაუწვა ცეკლში.

ლოტკის გორელი.

—

ჩიბათი. აქაურმა მღვდელმა, ბარნაბა ჯორბენაძემ, რადგან მისი უფროსი ვაჟი ბერათ ეკურთხა, და რუსეთს აპირებს, გამართა „პროშჩალნი“ სადილი. სადილზე ბევრი ახალგაზდა ქალ-ვაჟ-ყავდა მიწვეული. სხვა მრავალთა შორის დათვრა ლადიკო ჩხაიძე, რომელმაც სტაქნები და საინები

*) (იგულისხმე გალახვა).

მილეწ-მოლეწა და შემდეგ ბავშივით ტირილი მორთო, მას ისიდორე პატარაიძაც ბანი უთხრა. ამ უკანასკნელმა გზაზე მიმავალ ლანჩხუთის ბოქაულს ბ ნ ივასიუკს რაღაც სიტყვა უთხრა, რომლის გაგონებაზე ბოქაულმა მათრახით ზურგი აუჭრელა და შემდეგშიც პატივისცემა აღუთქვა. გაბრაზებულ ბოქაულს გზაში შინ მიმავალი აქაური სკოლის მასწავლებელი, სიმონ ლომაძე, შეხვდა, რომელსაც ხელში ეჭირა ახლად მიღებული „Ясная Поляна“ და გრ. ტოლსტოის ორიოდე წიგნი· ბოქაული წიგნების დანახვაზე დაინტერესებულა, რადგან წიგნებს წითელი ყდა ქონია, დაუჭერია მასწავლებელი და უყვიროდა: „ამას ციმბირში წაგაკითხებო“.

საკვირველი კია, რომ პეტერბურგიდან მოსული წიგნი ჩიბათში დაატყვევეს თავისი წამკითხველით. აი, ბეჭდვის თავისუფლებაც ასეთი უნდა!

ქაჯი.

ყურმოკრული საუბარი.

ზურაბ.—კაცო! რაცხა თქვენსკენ მოდიოდენ მაგი კაზაკები. რა ამბავია თუ იცი?

მათე.—რამ შეგაშინა, შე კაცო, საგულაოდ მოდიოდენ, დაგელოცა ღმერთო სახელი! კაცო თურმე ყოლიფერს მოესწრობი.

ზურ.—რა იყო, კაცო! რა ამბავია? გულოობასაც უშლი?

მათე—რავა რაი, ძმაო, არ დაგინახავს ვინ აჰლდა კაზაკებს?

ზურ.— რა ვიცი. კაზაკები ხომ კაზაკები იყვნენ და იგი ბრჭყიალა ბრჭყიალა ფოლაქებიანი უთუოდ აფიცრები იქნებოდნენ. ჰო მართლა, ერთი კი მეუცხოულა. ერთი იყო ყველაის წინ რომ მიაჭენებდა ცხენს; ცხენზე ქალივით იჯდა და თავზე აფიცრის ქუდი ეხურა, მარა იგიც აფიცერი იქნებოდა. ქალები რომ ვერ იშოვეს განგებათ ჩეიცვამდა ამაზონკას მეთქი გავიფიქრე.

მათე.—ვაი, მეხი კი დაგაყარე მაგ გამოჩერჩეტებულ თავზე. იგინი, შენ რომ აფიცრები გგონია, სტუდენტები იყვენ, ერთი კოსანდილეს შვილი და ერთიც ჟ—ნია, რომელიც ჯერ ქუთაისს არ გაცილებია და ქუდი კი მოიგდო თავზედ სტუდენტის, რაო და ისთე კაზაკების აფიცერი არ მიახლებსო. იგი კი, შენ რომ ცხენზე ქალივით შემჯდარი დაინახე იმავე სტუდენტ კანდელაკის ცოლი იყო, რომელიც ძალიან მოსწონს თურმე იმ კაზაკების აფიცერს და იმის ხათრიზაა, რომ ყოველდღე მოართმევს ცხენებს საკატაოდ და ქმარს კი გონია ჩემი კაი კაცობიზა მცემს პატივსო.

ზურ.—რას მიჩივი, კაცო! სად სტუდენტები და სად კაზაკები და მათი აფიცერი. მე ასთე გამიგონია სტუდენტები ხალხისკენაა დი კაზაკები კი...

მათე—აბდალაი რომ ხარ ყორიფელიდან გეტყობა. მარტუაი სტავლა კმარა გონია კაცისა. კოსანდილე კანდელაკის შვილს რა გიემტყუნება ხომ გაგიგონია „დედა ნახე მამა ნახე, შვილი ისთე გამონახეო“.

ზურ.—კი მარა მისი ცოლის არ ეშინია მაინც, რომ იმ გატრუცუნებულმა აფიცერმა გული არ უღელვოს, ვინ გუუმტყუნებს მის შემხედვარეს,

მათე—მაგი, ძმაო, მაგფერი კაცებიზა აფერი არაა —განათლებააო, იტყვიან და მორჩა და გათავდა.

(უცაბედათ საიდგანაც გაჩნდება გიტო და ჩაერევა ლაპარაკში).

გიტო.—კი მარა რა თქვენი საქმეა თუ კაცი ხართ, რომ ერევით შიგ მეცამეტე გოჭსავით. ალბათ, ხელს აძლევს, მან უფრო არ იცის მისი საქმე.

ზურ
მათე. — არა შე კაცო! სიტყვაზე მოაწია თორემ ასეთიც უქნია რომ. .

გიტო.

წერილები რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო! თქვენს პატივცემულ ჟურნალ „ეშმაკის მათრახის“ მე 4I თე №·ში მოთავსებულია წერილი ქიათურიდან ილარიონ კოხრეიძის, რომლითაც ის სამედიატორო სამართალში მიწვევს. თუმცა ილარიონი მედიატორეთ ასახელებს ბ-ნ მიხა გალუსტოვს, რომელიც მისი ამხანაგია ერთ-ერთ სავაჭრო დუქანში და რომელსაც, ჩემი შეხედულებით, ილარიონისადმი მიძღვნილი მათრახის კუდი თუ ნახევარი არა ნაწყვეტი მაინც ერგება კანონის ძალით. მიუხედავათ ყველა ამისა მე მაინც სიამოვნებით გავყვები სამემედიატორო სამართალში. მან ვინც უნდა ის დანიშნოს. მე ჩემის მხრით მედიატორეებათ ვასახელებ: ალექსანდრე მითაიშვილს და გიორგი ნანეიშვილს.

„ზ—ნი“

—

მე და ნაგომრელ ვაჭარ სილევან თალაკვაძეს ერთი მეორეში ანგარიშების შესახებ გვაქვს საქმეები, რომელიც მინდოდა დაბოლოებულიყო მედიატორული წესით, მაგრა

ხსენებული თალაკვაძე მითითებს სამოქალაქო მეათე ტომის კანონებზე, რომლის, როგორც მოხუცი ვაჭარი, დიდი ყურმოჭრილი მონაა!.. ახლა უკანასკნელათ თქვენი ჟურნალის საშვალებით ვიწვევ ჩემს მოპირდაპირეს სამედიატორო სამართალში. წინაალმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნები საქმის შინაარსი დაწვრილებით გამოვაქვეყნო და მით ზნეობრივათ მაინც დავკმაყოფილდე.

დავით სვიმონისძე გუგუნავა.

—

პასუხის პასუხი.

ბ. დათიკო გვანტალიანს.

თქვენ დაჟინებით მოითხოვთ ჩემგან გამოგყვეთ სამედიატორო სამართალში. მეც თანახმა გავხდი ამ კულტურულ საშვალებაზე. მაგრამ ჩემდა სამწუხაროთ მწარეთ მოვტყუილებულვარ. თქვენ, როგორც გავიგე, სიმართლის გამორკვევა ისე არ გაინტერესებთ, როგორც ჩემი პიროვნების გაგება. ამისთვის იძულებული ვხდები სამედიატორო სამართალი უარვყო. თუ თქვენ მაინც და მაინც გეინტერესებათ გაგიმეოროთ თქვენი ბრალდება, მე მზათ ვარ დაგიმტკიცოთ პრესის საშვალებით „თქვენი საქმენი საგმირონი."

ალაგეთური.

რედაქციისაგან.

ხელის-მომწერთა საყურადღებოთ ვაცხადებთ, რომ სამწუხაროთ რედაქციისაგან დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო ამ ნომრისათვის დანიშნული კარიკატურები ვერ იბეჭდება.

მოითხოვეთ ყველგან

მ. ლაღიძის და ამხანაგობის საუკეთესო ქარხნის წყალი!

გემო და არომატი მშვენიერი აქვს.

ქარხანასთან დეკორატიული მცენარეებით ლამაზათ მორთული აივანია, სადაც შეიძლება ყინულივით ცივი წყლის სმა.

ქარხანა იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე, მანთაშევის სახლში. ტელეფონი 411. (13—9)

საყურადღებოთ:

ვთხოვთ ხელის მომწერლებს და აგენტებს დროებით შემდეგ ადრესზე გამოგზავნონ ჟურნალის ფული: ან ვისაც ძველ ადრესით აქვს გამოგზავნილი შესცვალონ აგრე: Тифлисъ, Типографія „Шрома", Мелитону Нодія.

რედაქტორ-გამომცემელი **თ. ე. ბოლქვაძე**

სურათი სოფლის ცხოვრებიდან.

ელექტრომბეჭდავი ამხ. „შრომა" თფილისი.